ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #GOG/ET/CW/443

ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი შენგელიას სახით და მეორეს მხრივ **შპს „საბა კონსტრაქშენ“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ლევან თარგამაძის სახით, ვთანხმდებით ქალაქ თბილისში, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება:

1.1. „შემსყიდველმა“ გამოაცხადა **NAT210008342** ელექტრონული ტენდერი, **სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, Design-Build მეთოდით, სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის ლოკაციები) დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების შესრულების (CPV-45200000)** შესყიდვის მიზნით და ელექტრონული ტენდერის შედეგად „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება, მიაწოდოს „შემსყიდველს“ ზემოთ აღნიშნული მომსახურება და სამუშაოები (შემდგომში - „მომსახურება“ და „სამუშაოები“).

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება, მომსახურების გაწევასთან და სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და „მიმწოდებლისათვის“ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **20,000,000.00 (ოცი მილიონი) ლარს**, რომლის დაფინანსება განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად.

1.3. პრეისკურანტების ჯამური ღირებულება შეადგენს **249,710.48 (ორას ორმოცდა ცხრა ათას შვიდას ათი ლარი და 48 თეთრი) ლარს, დღგ-ს გარეშე.**

2. ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილები:

2.1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ხელშეკრულების ზოგადი პირობები;

გ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

დ) ტექნიკური დავალება;

ე) პრეისკურანტები;

ვ) თანხმობები ტექნიკურ დავალებასა და შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებისა (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი) და ობიექტის დაზღვევის შესახებ;

ზ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია;

თ) „მიმწოდებლის“ მიერ **NAT210008342** ელექტრონული ტენდერის პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ხელშეკრულების ზოგადი პირობები

1. ხელშეკრულების ტერმინები:

1.1. „ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები“ არის ხელშეკრულების დანართი, რომელიც აზუსტებს ამ ხელშეკრულების ზოგად პირობებს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.2. „ტექნიკური დავალება“ არის გასაწევი მომსახურების და შესასრულებელი სამუშაოების ტექნიკური პირობები და სპეციფიკაციები, რომლებიც მოცემულია ხელშეკრულების დანართებში. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. „ხელშეკრულების ფასი“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზეც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“, ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.5. „პროექტი“ არის იმ მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობა, რომლებზეც ორიენტირებულია ეს ხელშეკრულება.

1.6. „შესრულებული სამუშაოების ანგარიში“ (შემდგომში - „შსა“) ნიშნავს სამუშაოების, ან მისი ნაწილის შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც შეესაბამება მე-9 მუხლით („ხელშეკრულების საგნის მიღება-ჩაბარება“) განსაზღვრულ პირობებს.

1.7. „ხარვეზი“ არის „მიმწოდებლის“ საქმიანობის შეუსაბამობა ამ ხელშეკრულების პირობებთან.

1.8. „სამშენებლო მოედანი“ არის მშენებლობის განხორციელების, დოკუმენტებით განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის. ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე სამშენებლო მოედანი. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად, თითოეულ მოედანთან მიმართებაში.

1.9. დამოწმების უწყისი (გადახდის სერთიფიკატი) არის შსა-ს, ან მიღება-ჩაბარების აქტისა და „მიმწოდებლის“ მიერ, დადგენილი წესით წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, „შემსყიდველის“ მიერ დამოწმებული დოკუმენტი.

1.10. „დეფექტი“ („ნაკლი“, „წუნი“) არის ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლოვანი ნივთი/ შესრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადები:

2.1. მომსახურების გაწევის და სამუშაოების შესრულების საერთო ვადა:

2.1.1. მომსახურების გაწევის და სამუშაოების შესრულების საერთო ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

2.1.2. სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია, გაწეული მომსახურების საფუძველზე მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში, სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, წარუდგინოს შემსყიდველს მასთან შეთანხმებული შინაარსისა და ფორმატის, 6 (ექვსი) თვეზე გაწერილი, სამუშაოების წარმოების ხაზობრივ-ფინანსური გრაფიკი (შემდგომში - „კალენდარული გრაფიკი“), რომელშიც თვალნათლივ უნდა იყოს ნაჩვენები სამუშაოების წარმოების პროგრესი და თუ რა თანმიმდევრობით განხორციელდება სამუშაოების მიწოდება.

2.1.3. ხელშეკრულების ზოგადი პირობების მე-12 მუხლით გათვალისწინებული მიზეზების არსებობისას, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 8.2. პუნქტით განსაზღვრული ზედამხედველის შუამდგომლობის საფუძველზე და 8.3. პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საერთო ვადის ცვლილება.

2.1.4. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 2.1.2. პუნქტით გათვალისწინებული კალენდარული გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში, განახლებულ კალენდარულ გრაფიკში ნაჩვენები უნდა იყოს თითოეული სამუშაოს ფაქტიური პროგრესი და ის ზეგავლენა, რომელსაც ის იქონიებს დარჩენილი სამუშაოების ვადებზე და ღონისძიებების თანამიმდევრობაზე, კალენდარული გრაფიკის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 8.2. და 8.3. პუნქტით განსაზღვრული პირების

თანხმობით.
2.1.5. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, გასატარებელი ღონისძიებები, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშოების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის, მოცემულია ხელშეკრულების დანართი N2-ის (ტექნიკური დავალება) სახით, რომლის შემადგენელი ნაწილებია: ტექნიკური დავალება და ზოგადი სპეციფიკაციები.
2.1.6. მომსახურების გაწევის ეტაპები, პირობები და ვადები მოცემული არის ხელშეკრულების დანართ N2-ში (ტექნიკური დავალება).
2.1.7. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული, ხელშეკრულების დანართი N2-ის (ტექნიკური დავალება) პირობებით განსაზღვრული პირველი ეტაპის - ესკიზების მინიმუმ 2 (ორი) ვარიანტიდან ერთ-ერთის შეთანხმება და დამტკიცება განხორციელდება, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები" მე-4 მუხლის (სამთავრობო კომისია) საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ.
2.1.8. თითოეული ლოკაციისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების დაწყება, ისევე როგორც დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების შემდეგ, თითოეულ ლოკაციაზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება, დამოკიდებულია შემსყიდველის წერილობით მითითებაზე.
2.1.9. მიმწოდებელი ვალდებულია, სამშენებლო სამუშაოები აწარმოოს დანართი N2-ით (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებულ ჩართულ მხარეებთან და შემსყიდველთან შეთანხმებული დეტალური პროექტისა და სამუშაოების მიწოდების კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
2.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

3. დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი:
3.1. დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 2 (ორი) წელს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან.
3.1.1. სამშენებლო სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) კალენდარულ წელს, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დასრულების თარიღიდან.
3.1.2. გამწვანების სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) კალენდარულ წელს, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული გამწვანების სამუშაოების დასრულების თარიღიდან.
3.1.3. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა, თითოეული ლოკაციის მიხედვით, აითვლება ინდივიდუალურად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების თარიღის მიხედვით.
3.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული საპროექტო მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზ(ებ)ის გამოსწორება.

4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა:
4.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა და მოქმედების ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით, ხოლო შინაარსი შეთანხმებულია შემსყიდველთან და რომელიც გაცემულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი, გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი, უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.
4.2. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 2.1.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გაგრძელებული ვადის, ან/და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის, ახალი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების მიწოდების გაგრძელებულ ვადას.
4.3. საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას.
4.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ზოგადი პირობების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისას, მიმწოდებელი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო

გარანტიის ვადის გასვლამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე არ, ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 4.2. პუნქტით გათვალისწინებულ, გაგრძელებული ვადის, ან ახალ საბანკო გარანტიას, ან მხარეები ვერ შეთანხმდებიან მიწოდების ვადის გაგრძელებაზე, ან ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეწყდება მიმწოდებლის ბრალეულობით, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვაზე. ამასთანავე, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის შემცირება არ განხორციელდება ხელშეკრულების ზოგადი პირობების 13.1.2. პუნქტის თანახმად, მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს პროპორციულად, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამატებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5. სამშენებლო ობიექტის დაზღვევა:

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების დაწყების დღიდან, სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადის დასრულებამდე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის სასარგებლოდ დააზღვიოს სამშენებლო ობიექტი:

5.1.1. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით. მისი მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდს (2 (ორი) წელს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 8,500 ლარი)).

5.1.2. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა მიმწოდებლის მანქანა-მექანიზმების დაზიანების, ან დაკარგვის შემთხვევაში შეადგენს 50,000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 1,000 ლარი), რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

5.1.3. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მესამე პირთა საკუთრების დაზიანებისათვის შეადგენს 100,000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 4,000 ლარი), რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

5.1.4. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მიმწოდებლის პერსონალის ტრამვის და/ან გარდაცვალების შემთხვევაში შეადგენს 50,000 ლარს (მინიმუმ 5000 ლარს/კაცზე, სამუშაოთა დაწყების თარიღიდან, მათი დამთავრების თარიღამდე) და მესამე პირთა დაშავების და/ან გარდაცვალების შემთხვევისათვის შეადგენს მინიმუმ 50,000 ლარს, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების დაწყებისთანავე წარუდგინოს შემსყიდველს სადაზღვევო პოლისი, რომლითაც დადასტურდება ხელშეკრულების ზოგადი პირობების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ობიექტის დაზღვევა.

5.3. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 5.1. პუნქტში განსაზღვრული დაზღვევის ხარჯების (ფრანშიზის ღირებულების გათვალისწინებით) დაფარვას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება:

6.1. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

6.1.1. საერთო სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში, აღნიშნული ღირებულების არაუმეტეს 3 (სამი) პროცენტი გათვალისწინებულია გაწეული საპროექტო მომსახურების ანაზღაურებისათვის.

6.1.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ გაწეული საპროექტო მომსახურების და შესრულებული სამუშაოების ჯამურად ასანაზღაურებელი ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულების საერთო ღირებულებაზე (20,000,000.00 ლარი, დღგ-ს ჩათვლით), ან/და არ დადგა პრეისკურანტებში მოცემული ყველა სახის სამუშაოს/მომსახურების/საქონლის გამოყენების საჭიროება, მიმწოდებელს აუნაზღაურდება მის მიერ ფაქტობრივად გაწეული საპროექტო მომსახურებისა და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

6.1.3. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად და მიმწოდებელს არ გააჩნია პრეტენზია, მომსახურების და/ან სამუშაოების აუთვისებელი მოცულობების განხორციელებაზე და შესაბამისი ანაზღაურების მიღებაზე.

6.1.4. მიმწოდებლის მიერ, **NAT210008342** ელექტრონულ ტენდერში დაფიქსირებული ფასკლება გავრცელდება როგორც საპროექტო მომსახურების ასანაზღაურებელ ღირებულებაზე, ასევე შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებელ ღირებულებაზე, **NAT210008342** ელექტრონულ ტენდერში დაფიქსირებული ფასკლების პროცენტულობის შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე,

უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. საპროექტო მომსახურებაზე ანგარიშსწორების განხორციელების პირობები:

6.3.1. მიმწოდებლის მიერ თითოეული ლოკაციისათვის გაწეულ საპროექტო მომსახურებაზე ანგარიშსწორება განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ შესაბამის ლოკაციაზე დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში მომზადებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიწოდებული სამუშაოების ასანაზღაურებელი ღირებულების არაუმეტეს 3%-ის ოდენობით და მიმწოდებლის მიერ, **NAT210008342** ელექტრონულ ტენდერში დაფიქსირებული ფასკლების პროცენტულობის შესაბამისი ოდენობა დააკლდება ზემოთ აღნიშნული, მიწოდებული სამუშაოების ასანაზღაურებელი ღირებულების არაუმეტეს 3%-ის ოდენობას. აღნიშნული ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველი მიწოდებული სამუშაოს შესაბამისი ანგარიშსწორების თანადროულად, აღნიშნულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ, დადგენილი წესით, ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე.

6.3.2. შემსყიდველის მიერ, გარკვეულ ლოკაციაზე სამუშაოების დაწყების წერილობითი მითითების არ არსებობის შემთხვევაში, ამ ლოკაციისათვის გაწეულ საპროექტო მომსახურებაზე ანგარიშსწორება განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ლოკაციისათვის მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, 6 (ექვსი) კალენდარული თვის შემდეგ, აღნიშნულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ, დადგენილი წესით, ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგი პროპორციით:

6.3.2.1. თუ კი, მიმწოდებლის მიერ შესაბამის ლოკაციაზე დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში მომზადებული ხარჯთაღრიცხვის თანახმად, შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება არ აღემატება 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, გაწეული საპროექტო მომსახურების ღირებულება დაანგარიშდება 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარის **NAT210008342** ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასკლების პროცენტულობით.

6.3.2.2. თუ კი, მიმწოდებლის მიერ შესაბამის ლოკაციაზე დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში მომზადებული ხარჯთაღრიცხვის თანახმად, შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება აღემატება 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, გაწეული საპროექტო მომსახურების ღირებულება დაანგარიშდება:

6.3.2.2.1. 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარის ჩათვლით: **NAT210008342** ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასკლების პროცენტულობით (ფასკლების პროცენტულობა დააკლდება საპროექტო მომსახურებისთვის განსაზღვრულ არაუმეტეს 3%-ს).

6.3.2.2.2. 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარის ზემოთ: 3%-ის ოდენობით.

6.4. სამშენებლო სამუშაოების მიწოდებისას ანგარიშსწორების განხორციელების პირობები:

6.4.1. სამშენებლო სამუშაოების მიწოდებისას, ანგარიშსწორება განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ შესაბამის ლოკაციაზე დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში მომზადებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიწოდებული სამუშაოების ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულების პირობების თანახმად დადასტურებული შსა-ის, ან/და მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ, დადგენილი წესით წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან, 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებლის მიერ, **NAT210008342** ელექტრონულ ტენდერში დაფიქსირებული ფასკლების პროცენტულობის შესაბამისი ოდენობა დააკლდება ზემოთ აღნიშნული, მიწოდებული სამუშაოების ასანაზღაურებელ ღირებულებას.

6.5. შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის, უპირობო, გამოუთხოვადი, წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოთა მიწოდების საბოლოო ვადას და რომელიც სავალდებულოდ გაცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ), შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი, გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი, უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.

6.6. ავანსის მაქსიმალური ოდენობაა, სახელშეკრულებო ღირებულების 30 (ოცდაათი) პროცენტი.

6.7. მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობისა და პერიოდულობის განსაზღვრის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია, დამატებით მოთხოვოს მიმწოდებელს, შესაბამისი დაწესებულების მიერ დამოწმებული ინფორმაცია.

6.8. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, საავანსო თანხის 50%-ის ოდენობით.
6.9. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, მის მიერ, შესაბამის თანხაზე, ხელშეკრულების 6.5. პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.10. წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაქვითვა განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დადასტურებული შსა-ს, ან მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ გადახდის უწყისის დამოწმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.11. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 6.6. პუნქტში აღნიშნული შემთხვევისას, თავდაპირველად განხორციელდება არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის დაქვითვა სრულად, არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის სრულად დაქვითვის შემდეგ, წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხიდან, პარალელურად განხორციელდება არაუზრუნველყოფილი ავანსიდან დაქვითული თანხის პროპორციული ღირებულების დასაქვითი თანხის 5%-ის დაკავება.
6.12. ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება საავანსო თანხის დაქვითვა, შემსყიდველის მიერ ყოველ ეტაპზე განსაზღვრული პროპორციით.
6.13. ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ის დაკავება, სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად. დაკავებული 5%-დან, 2,5%-ის დაბრუნება განხორციელდება სამუშაოების სრულად დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი სამუშაოთა მიმღები კომისიის მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული თანხის დარჩენილი 2,5%-ის დაბრუნება განხორციელდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 2 (ორი) წელი) დასრულებისა და დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში, დეფექტების არ არსებობის შესახებ სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე.
6.14. მიწოდებული სამუშაოების ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის ანგარიშსწორების მიზნით, შემსყიდველის მიერ შექმნილი სამუშაოთა მიმღები კომისიის მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს, მასთან შეთანხმებული შინაარსის, გამოუთხოვადი, უპირობო, შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 2 (ორი) წელი) პერიოდს და რომელიც სავალდებულოდ გაცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ), შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი, გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი, უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.
6.15. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, ან შემსყიდველს გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმ გარემოების შესახებ, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 6.14. პუნქტის თანახმად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5 %-ის ოდენობის, შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენას, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს დაკავებული თანხის ანგარიშსწორებაზე.
6.16. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზის გამო, მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს, ან უარს აცხადებს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, შემსყიდველი (დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით) შეაფასებს ობიექტზე წარმოქმნილი დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და მიმართავს შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს შესაბამისი თანხის გამოთხოვის თაობაზე. თუ დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭირო თანხა აღემატება ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის ოდენობას, შემსყიდველი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დააკისრებს მიმწოდებელს დარჩენილ განსხვავებას.
6.17. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შეწყდა ვადაზე ადრე და/ან მიმწოდებელი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების შესრულებას და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე,

მიმწოდებელი ვალდებულია, შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დააბრუნოს წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხიდან შეუსრულებელი ვალდებულების პროპორციული ღირებულების შესაბამისი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, გარანტიის მოქმედების პერიოდში, მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს), ავანსის სახით გადარიცხული თანხის ფარგლებში, მიმწოდებლის მხრიდან შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების პროპორციულად გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე, ასევე მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ პირველივე მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში დააბრუნოს არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების მოქმედების ვადა გრძელდება ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

6.18. პრეისკურანტებში გარკვეული სამუშაოს/მომსახურების/საქონლის არ არსებობისას, აღნიშნული სამუშაოს/მომსახურების/საქონლის ერთეულის ფასი, მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დადგინდება 2017 წლის 26 სექტემბრის N439 დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდი"-ს მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს მიერ დადგენილი ფასის გათვალისწინებით და შემცირდება, მიმწოდებლის მიერ, **NAT210008342** ელექტრონულ ტენდერში დაფიქსირებული ფასკლების პროცენტულობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მხარეები:

7.1. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი:

7.1.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველისგან წინასწარი თანხმობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია უზრუნველყოს სამუშაოების წარმოება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მონაწილეობით.

7.1.2. ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით სამუშაოთა წარმოების უფლების მიღება მიმწოდებელს გააჩნია მხოლოდ შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული უფლების მისაღებად, თითოეული ქვეკონტრაქტორის მიერ სამუშაოს დაწყების დაგეგმილ თარიღამდე არანაკლებ 28 (ოცდარვა) დღით ადრე, მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს წერილობითი მოთხოვნა ქვეკონტრაქტის გაფორმების უფლების მოსაპოვებლად, ქვეკონტრაქტორ(ებ)თან გაფორმებული ხელშეკრულების პროექტი, ან გაფორმებული ხელშეკრულება, ან განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება, ასევე ქვეკონტრაქტით შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი, მოცულობები და ღირებულებები.

7.1.3. ქვეკონტრაქტ(ებ)ით შესასრულებელი სამუშაოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წილის ლიმიტი, ხელშეკრულების ფასთან მიმართებაში განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

7.1.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის სამუშაოს შესრულების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. შემსყიდველის მხრიდან უარის თქმად განიხილება ასევე, თუ მიმწოდებლის მხრიდან ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით სამუშაოთა წარმოების მიღებაზე წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი წერილობით არ გასცემს პასუხს მიმწოდებელს.

7.1.5. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ შედეგზე შემსყიდველის წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ მიმწოდებელი.

7.1.6. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოების მიწოდებას და შესაბამისად სამუშაოების ჩაბარებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.1.7. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2. უფლებების გადაცემა:

7.2.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა პირებს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები

7.2.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების ის ნაწილი, რომელზეც განპიროვნებული იყო ქვეკონტრაქტორი, განაცალკევოს ამ ხელშეკრულებისაგან და გადასცეს შესასრულებლად ქვეკონტრაქტორს.

7.3. ბენეფიციარები:

7.3.1. შემსყიდველი, საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტს, ბენეფიციარის სასარგებლოდ.

7.3.2. ბენეფიციარი, რომელიც მიეთითება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში, იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს პროექტის განხორციელებას.

7.3.3. პროექტის ხელშეწყობის მიზნით, ბენეფიციარი გამოყოფს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რაც აისახება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
7.3.4. იმ აქტივობებისათვის, რომლებიც ემსახურება საკუთრების შეკეთებას, ან რეაბილიტაციას, ბენეფიციარი გამოხატავს თანხმობას სამუშაოების წარმოებაზე.
7.3.5. იმ აქტივობებისათვის, რომლებიც ემსახურება ახალი ობიექტების შექმნას, ბენეფიციარი გამოხატავს თანხმობას, სამუშაოების წარმოებაზე და იღებს ვალდებულებას, გადაიბაროს და ექსპლუატაცია გაუწიოს ამ ობიექტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:
8.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს, რომელიც მოიცავს სამუშაოების ზედამხედველობას და პროექტის ზედამხედველობას.
8.2. სამუშაოების ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, შემსყიდველი ნიშნავს მშენებლობის ზედამხედველს („ზედამხედველი"), რაც აისახება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
8.3. პროექტის საერთო კონტროლის განხორციელების მიზნით, შემსყიდველი ნიშნავს პროექტზე პასუხისმგებელ პირს („პასუხისმგებელი პირი"), რაც აისახება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში. შემსყიდველის გადაწყვეტილებით, ზედამხედველი შეიძლება ამავდროულად იყოს პასუხისმგებელი პირიც.
8.4. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
8.4.1. სამუშაოების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
8.4.2. მიწოდებული სამუშაოების, ხელშეკრულების დანართებთან შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა (აუცილებლობის შემთხვევაში), ფარული სამუშაოების კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიწოდებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების საფუძველზე მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში შედგენილ ხარჯთაღრიცხვებთან ურთიერთშედარება და მათ საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების, ან მისი ნაწილის მოცულობისა და ღირებულების დადგენა, შსა-ს დამოწმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
8.4.3. ტექნიკური დავალების დანართებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
8.4.4. მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და დასაქმებული ძირითადი სპეციალისტების კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა, განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებაში.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის პროცედურებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის პროცედურების განხორციელების მიზნით გამოიყენებს საკუთარ, ან მოწვეულ პერსონალს, იგი თავად გასწევს ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს.
8.6. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის პროცედურების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა.
8.7. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს ასევე წარმოადგენს:
8.7.1. გაწეული საპროექტო მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, საპროექტო მომსახურების ეტაპების განხილვა-შეთანხმება, გაწეულ საპროექტო მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.
8.7.2. მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება საპროექტო მომსახურების გაწევასთან, ასევე გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.
8.7.3. საპროექტო მომსახურების გაწევაზე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: შემსყიდველის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები" მე-4 მუხლის (სამთავრობო კომისია) საფუძველზე შექმნილი კომისია.

9. ხელშეკრულების საგნის მიღება-ჩაბარება:
9.1. სამუშაოების, ან მისი ნაწილის მიღება–ჩაბარება ხორციელდება შსა-ს საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშოების, ან მისი ნაწილის მოცულობის შესაბამისად.

9.2. შსა-ს დადასტურების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს მიწოდებული სამუშაოების მოცულობები და ღირებულება ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.
9.3. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 8.2. პუნქტით განსაზღვრული პირი, შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ახორციელებს შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ, შესრულებული სამუშაოების აქტებს, აუცილებლობის შემთხვევაში ადგენს შესრულებული სამუშაოების, ან მისი ნაწილის ინსპექტირების აქტს, ამოწმებს კალენდარული გრაფიკის მიხედვით სამუშაოთა მიმდინარეობას, ამოწმებს ფარულ სამუშაოებს, ასეთის არსებობისას.
9.4. იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაოები, ან მისი ნაწილი შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 8.2. პუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს შსა-ს და ახორციელებს შესრულებული სამუშაოების, ან მისი ნაწილის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ შესრულებული სამუშაოები არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს სამუშაო, ან მისი ნაწილი.
9.5. სამუშაოთა საბოლოო მიღება:
9.5.1. მიწოდებული სამუშაოების საბოლოო მიღება ხორციელდება კომისიური წესით, რომლის ფორმირების წესს და წევრებს განსაზღვრავს შემსყიდველი.
9.5.2. სამუშაოთა დასრულების შესახებ, მიმწოდებელი წერილობით ატყობინებს შემსყიდველს და მიუთითებს თავისი წარმომადგენლის ვინაობას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შესმყიდველის მიერ განსაზღვრული, სამუშაოთა მიმღები კომისიის საქმიანობაში. აღნიშნული წერილობითი შეტყობინება და ობიექტის შესახებ საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს:
ა) ობიექტის ექსპლოატაციაში მისაღებად საჭირო, საკადასტრო აზომვით ნახაზს, შენობა-ნაგებობ(ებ)ის დატანით;
ბ) ფარული სამუშაოების აქტებს;
გ) გამოყენებული სამშენებლო მასალების ლაბორატორიული გამოცდის დასკვნებს;
დ) სერთიფიკატებს (პასპორტებს) ქარხნული წესით დამზადებულ კონსტრუქციებზე;
ე) სერთიფიკატებს (წარმოშობისა და ხარისხის) გამოყენებულ მასალებზე;
ვ) შესრულებული სამუშაოების ამსახველ საბოლოო აქტს (ე.წ. ფორმა N2);
ზ) სამუშაოთა წარმოების ჟურნალს;
თ) შესრულებული სამუშაოების საბოლოო ტოპო-გეოდეზიურ ანაზომს;
ი) მიღება-ჩაბარების კომისიის წევრებთან შეჯერებულ დეფექტების აქტს;
კ) მშენებლობის ნებართვას;
ლ) საშემსრულებლო ნახაზებს;
მ) დანადგარების და მოწყობილობების გამოცდის ოქმებს (გათბობა-გაგრილების სისტემები, გენერატორები, ლიფტები და ა.შ.);
ნ) ინჟინრის მიერ გაცემულ თანხმობებს.
9.5.3. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 9.5.2. პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, სამუშაოთა მიმღები კომისია უზრუნველყოფს მიწოდებული სამუშაოების საბოლოო მიღებას. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადა შეიძლება გაგრძლედეს შემსყიდველის გადაწყვეტილების საფუძველზე.
9.5.4. სამუშაოების მიმღები კომისია, მოწოდებული სამუშაოების და ობიექტის დასრულების თაობაზე ხელისმოწერებით ადასტურებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.
9.6. შემსყიდველი ვალდებულია, გონივრულ ვადაში, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული სამუშაოების მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
9.7. სამუშაოების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
9.8. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო მიმღები კომისიის მიერ დადასტურდა, რომ შესრულებული სამუშაოები შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სამუშაოების დასრულების ვადად ჩაითვლება ხელშეკრულების ზოგადი პირობების 9.5.2. პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა დასრულების შეტყობინების თარიღი, ხოლო თუ საბოლოო მიღებისას გამოვლინდა, რომ ადგილი აქვს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 9.7. პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, ობიექტის მიღება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრის შემდგომ, ხოლო მიმწოდებელს დაეკისრება, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 13.1.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, სამუშაოთა დასრულების საბოლოო თარიღიდან, დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრამდე.
9.9. დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პირობები:

9.9.1. საპროექტო მომსახურების ცალკეული ეტაპებისა და საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.
9.9.2. საპროექტო მომსახურების გაწევის პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ცალკეული ეტაპების მიწოდების ვადები მოცემული არის ხელშეკრულების დანართ N2-ში (ტექნიკური დავალება).
9.9.3. მიმწოდებლის მიერ პრეისკურანტების განფასების შედეგად შემოთავაზებული ერთეულის ღირებულებები, მატების გარეშე უნდა იქნეს გათვალისწინებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში მომზადებულ ხარჯთაღრიცხვებში.
9.9.4. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები, ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.
9.9.5. გაწეული საპროექტო მომსახურების მიღებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ: შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ მე-4 მუხლის (სამთავრობო კომისია) საფუძველზე შექმნილ კომისიას.

10. მხარეთა უფლებები:
10.1. მიმწოდებლის უფლებები:
10.1.1. მიმწოდებელს უფლება აქვს, ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
10.1.2. მიმწოდებელს უფლება აქვს დანიშნოს მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი („მიმწოდებლის წარმომადგენელი“), რაც აისახება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
10.2. შემსყიდველის უფლებები:
10.2.1. შემსყიდველს უფლება აქვს აწარმოოს მიწოდებული სამუშაოების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი.
10.2.2. აუცილებლობის შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებით, სამუშაოების, ან მისი ეტაპის მიღებამდე, სამუშაოების ხარისხის შესაბამისობის დადგენის უზურნველსაყოფად გამოიყენოს მოწვეული სპეციალისტი.
10.2.3. მოთხოვოს მიმწოდებელს სამუშაოების წარმოებისას დასაქმებული პერსონალის, ან გამოყენებული მანქანა-მექანიზმების რაოდენობის გაზრდა.
10.2.4. მოთხოვოს მიმწოდებელს ძირითადი სპეციალისტების შეთანხმება.
10.2.5. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართი N2-ით (ტექნიკური დავალება) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.
10.2.6. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

11. მხარეთა მოვალეობები:
11.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
11.1.1. მიაწოდოს შემსყიდველს სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელი დაცვით.
11.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მიმართვიდან არსებული ნაკლოვანების აღმოფხვრისთვის საჭირო გონივრულ ვადაში.
11.1.3. დროულად განიხილოს შემსყიდველის მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
11.1.4. გაავრცელოს შესრულებულ სამუშაოებზე გარანტია (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი), ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.
11.1.5. დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.
11.1.6. გაწეული მომსახურების საფუძველზე მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში, სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, წარუდგინოს შემსყიდველს მასთან შეთანხმებული შინაარსისა და ფორმატის, სამუშაოების წარმოების კალენდარული გრაფიკი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 2.1.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.
11.1.7. დროულად და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეთანხმება ჩართულ მხარეებთან. ასევე, საკუთარი ხარჯებით დროულად უზრუნველყოს დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარება (საჭიროების

შემთხვევაში).
11.1.8. პირნათლად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.
11.2. შემსყიდველი ვალდებულია:
11.2.1. გამოყოფილი სახსრების უწყვეტი დაფარვის პირობებში, უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
11.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
11.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

12. ხელშეკრულების შესრულების შეჩერება:
12.1. ობიექტური გარემოებებით:
12.1.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მიმწოდებელი წააწყდება ისეთ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მან დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება შემსყიდველს და ზედამხედველს, შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ზედამხედველი იღებს არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას, ჩაითვლება თუ არა წარმოდგენილი გარემოებები ობიექტურად და აცნობებს ამის შესახებ შემსყიდველს.
12.2. შემსყიდველის დავალებით:
12.2.1. ზედამხედველს უფლება აქვს მისცეს დავალება მიმწოდებელს სამუშაოების შეჩერებაზე, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.
12.3. ფორს-მაჟორის გამო:
12.3.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
12.3.2. ამ მუხლის მიზნებისათვის, ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სამუშაოების მიწოდებისთვის საჭირო საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების დარღვევა:
13.1. საჯარიმო სანქციები:
13.1.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.1.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების დანართი N2-ით (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული საპროექტო მომსახურების მიწოდების ეტაპების ვადების დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 2.1.2. პუნქტით გათვალისწინებული კალენდარული გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.1.3. ხელშეკრულების 13.1.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, დაკისრებული პირგასამტეხლო გამოქვითოს გაწეული მომსახურების/შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებელი ღირებულებიდან.
13.1.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ზოგადი პირობების 13.1.2. პუნქტით გათვალისწინებული

პირგასამტეხლოს ჯამური დარიცხული თანხა შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 2 (ორი) პროცენტს და მხარეები ვერ თანხმდებიან სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.1.5. პირგასამტეხლოს დარიცხვა, ან გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.1.6. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების ზოგადი პირობების მე-12 მუხლით გათვალისწინებულ, ხელშეკრულების შესრულების შეჩერებას.

13.1.7. მხარეები ითვალისწინებენ, რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის თავიდან ასაცილებლად და საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვა განხორციელდება ხელშეკრულების ზოგადი პირობების 4.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის დროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის შემცირება არ განხორციელდება დაკისრებული პირგასამტეხლოს სახით, დაკისრებული თანხის პროპორციულად, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამატებით.

13.2. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:

13.2.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილი იქნეს მხარეთა შეთანხმებით.

13.2.2. შემსყიდველს ასევე შეუძლია ცალმხრივად, მთლიანად, ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

13.2.2.1. თუ მიმწოდებელს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაოები, ან მისი ნაწილი.

13.2.2.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2.2.3. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

13.2.2.4. თუ მიმწოდებელი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 10 (ათი) დღეზე ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო ასახული კალენდარულ გრაფიკში და/ან არ იყო ნებადართული შემსყიდველის მიერ.

13.2.2.5. სამუშაოთა ზედამხედველი გამოსცემს შეტყობინებას, რომ რომელიმე დეფექტის აღმოუფხვრელობა წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების არსებით დარღვევას და მიმწოდებელი ვერ შეძლებს ამ დეფექტის გასწორებას ზედამხედველის მიერ დასაბუთებულად დადგენილი დროის განმავლობაში.

13.2.2.6. მიმწოდებელი არ წარმოადგენს საჭირო საბანკო გარანტიებსა და დაზღვევის პოლისს.

13.2.2.7. თუ პროექტის განხორციელება ეკონომიკურად არაეფექტური გახდა შემსყიდველისთვის.

13.2.2.8. ამ ხელშეკრულების ზოგადი პირობების 13.1.4. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას.

13.2.2.9. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წყდება მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევების გამო, სამუშაოთა ზედამხედველი ადგენს დოკუმენტს, რომელშიც შეფასებულია შესრულებული სამუშაოები, მიმწოდებელისათვის უკვე გადახდილი თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა ღირებულების ნაწილის გამოკლებით. მიმწოდებელს, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ჯარიმის სახით დაეკისრება შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 10%. ამ შემთხვევაში, სამუშაოთა დასრულების ვადის გადაცილების ჯარიმა არ იქნება გამოყენებული. თუ საერთო თანხა, რომელიც ერგება შემსყიდველს, აღემატება თანხას, რომელიც ერგება მიმწოდებელს, განსხვავება ჩაითვლება დავალიანებად, რომელიც დაფარული უნდა იქნეს მიმწოდებელის მიერ.

14. დასკვნითი პირობები:

14.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა:

14.1.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

14.1.2. ხელშეკრულების ფასის შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

14.1.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფასის 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.2. სადავო საკითხების განხილვა:

14.2.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების, ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14.3. სხვა პირობები:

14.3.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, მხარეების მიერ ხელმოწერილია უფლებამოსილი წარმომადგენლების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან/და დამოწმებულია ორგანიზაციის კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და ძალაში შედის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით მისი ორმხრივად დამოწმებისთანავე.

14.3.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ორმხრივი შეთანხმების გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.3.3. მხარეების ოფიციალური საკონტაქტო მონაცემები მიეთითება სპეციფიკურ პირობებში.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

ქვემოთ მოყვანილი „ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები“ ავსებს და აზუსტებს „ხელშეკრულების ზოგადი პირობებით” განსაზღვრული საკითხების მნიშვნელობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მათ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე „ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს“.

კონტრაქტის ზოგადი პირობები **2.1.1.**	მომსახურების გაწევის და სამუშაოების შესრულების საერთო ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, აქედან:** • **1 (ერთი) თვეში მიმწოდებელი წარმოადგენს დეტალურ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;** • **6 (ექვსი) თვეში მიმწოდებელი დაასრულებს სამშენებლო სამუშაოებს.** • **თითოეული ლოკაციისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების დაწყება, ისევე როგორც დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების შემდეგ, თითოეულ ლოკაციაზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება, დამოკიდებულია შემსყიდველის წერილობით მითითებაზე.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები **2.2.**	ხელშეკრულების მოქმედების ვადა: **2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **4.1.**	ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა: **500,000.00 (ხუთასი ათასი) ლარი.** ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა: **2023 წლის 1 მარტი**.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **5.1.1.**	მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის შეადგენს ხელშეკრულების ფასის 100 (ასი) პროცენტს.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **6.1.**	ხელშეკრულების ფასი: მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება, მომსახურების გაწევასთან და სამუშაოების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და მიმწოდებლისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **20,000,000.00 (ოცი მილიონი) ლარს.** პრეისკურანტების ჯამური ღირებულება შეადგენს: **249,710.48 (ორას ორმოცდა ცხრა ათას შვიდას ათი ლარი და 48 თეთრი) ლარს, დღგ-ს გარეშე.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები **7.1.3.**	ქვეკონტრაქტ(ებ)ით შესასრულებელი სამუშაოების წილის ჯამური ლიმიტი შეადგენს ხელშეკრულების ფასის 40 (ორმოცი) პროცენტს.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **7.3.2.**	ბენეფიციარის სახელწოდება: ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტები.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **7.3.3.**	ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენელი: ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტების მიერ დანიშნული უფლებამოსილი წარმომადგენლები.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **8.2.**	მშენებლობის ზედამხედველი: შემსყიდველის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **8.3.**	პროექტზე პასუხისმგებელ პირი: **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის მენეჯერი (GOG2) ზაზა სიმონია**.
კონტრაქტის ზოგადი	„მიმწოდებლის“ წარმომადგენელი:

პირობები 10.1.2.	შპს „საბა კონსტრაქშენ“ დირექტორი, ლევან თარგამაძე.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 14.3.3.	„შემსყიდველის“ ოფიციალური საკონტაქტო მონაცემები: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მის.: დავით აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო ტელ. N: +995 32 2437001/02/03/04 ფაქსი N: +995 32 2437077 ელ-ფოსტა: office@mdf.org.ge მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 „მიმწოდებლის“ ოფიციალური საკონტაქტო მონაცემები: შპს „საბა კონსტრაქშენ“ მის.: ქ. თბილისი, გრიგოლ ხანმთელის N4 ტელ.: N: 2103010 ელ. ფოსტა: info@scn.ge მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“ მომსახურე ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE76BG0000000318626400

„შემსყიდველი“
ს.ს.ი.პ. „საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი“; ს.კ.: 206 074 193

გიორგი შენგელია
აღმასრულებელი დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „საბა კონსტრაქშენ“;
ს.კ.: 440 886 098

ლევან თარგამაძე
დირექტორი

გიორგი შენგელია
აღმასრულებელი დირექტორი

Saba Construction LLC
Digitally signed by Saba Construction LLC
Date: 2021.06.16 19:02:38 +04'00'

დირექცია